სკოლამდელი განათლების როლი სოციალური კაპიტალის გენერირებაში

ელენე ტაბატაძე
განათლების კვლევისა და ადმინისტრირების მაგისტრი

განსახილველი საკითხები

- ლიტერატურის მიმოხილვა: სოციალური კაპიტალი და მისი ძირითადი კომპონენტები;
- საერთაშორისო პრაქტიკა: ფინეთი, ესტონეთი და იტალია;
- კვლევის მეთოდოლოგია;
- კვლევის ძირითადი შედეგები და ანალიზი;
- დასკვნა;

სოციალური კაპიტალი და მისი ძირითადი კომპონენტები

- სოციალური კაპიტალი განაპირობებს **საზოგადოების კოორდინირებულობას, ნდობისა და კოლექტიური თანამშრომლობის** კულტურის გაძლიერებას;
- მასზეა დამოკიდებული როგორც პიროვნული წარმატება, ისე ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა.
- სკოლამდელი განათლება ის **პირველი საფეხურია,** რომელიც ბავშვს საზოგადოებაში ჩართულობისა და ეფექტური კომუნიკაციის საფუძვლებს უყალიბებს.
- ადრეულ ეტაპზევე ყალიბდება **სოციალური უნარები, ემოციური თვითრეგულაცია და პასუხისმგებლობა;**

თეორიული ჩარჩო და შედარებითი ანალიზი

თეორეტიკოსი	მთავარი აქცენტი	ძირითადი კომპონენტები	კავშირი სკოლამდელთან
პიერ ბურდიე	ურთიერთობებში „ინვესტიცია“ და კავშირების შენარჩუნება	• **სოციალური ქსელები** • **რესურსებზე წვდომა**	ურთერთობების მიზანმიმართული კულტივაცია და მშობელთა ჩართულობა ბაღში
რობერტ პატნამი	ნდობა, ნორმები და სამოქალაქო ჩართულობა	• **Bonding / Bridging** • **თანამშრომლობა**	ჯგუფური აქტივობები, ღიაობა და საზოგადოებრივი ნდობის განვითარება
ჯეიმს კოლმანი	სოციალური სტრუქტურა და ადამიანური კაპიტალის ზრდა	• **ნდობა და ნორმები** • **სანქციები / დახმარება**	სტაბილური ნორმების, რუტინისა და სამართლიანობის პრაქტიკის დანერგვა

შეჯამება: სამივე თეორია ხაზს უსვამს, რომ სკოლამდელი გარემო კრიტიკულია ნდობისა და სოციალური კომპეტენციების საწყისი ფორმირებისთვის.

სკოლამდელი განათლება, როგორც სოციალური კაპიტალის გენერირების მექანიზმი

- ადრეულ ასაკში თანატოლებთან პოზიტიური ურთიერთობის გამოცდილება მნიშვნელოვნად ზრდის ბავშვის **სოციალურ კომპეტენციას, ემოციურ სტაბილურობასა და ჯგუფში ფუნქციონირების** უნარს;
- საერთო წესები და რუტინა აყალიბებს **ნორმებსა** და **გუნდრი პასუხისმგებლობებს;**
- პედაგოგის პოზიცია წარმოადგენს **ნდობისა** და **სამართლიანობის მოდელს;**

საერთაშორისო პრაქტიკა

ფინეთი

- **საზოგადოების რესურსი:** ბაღი აღიქმება როგორც სათემო ცენტრი, სადაც თანამშრომლობა და თვითგამოხატვა სისტემურადაა ინტეგრირებული.
- **მშობელთა ნდობა:** მშობლის აქტიური მონაწილეობა ამაგრებს ინსტიტუციურ ნდობასა და გამჭვირვალობას.

ესტონეთი

- **თანასწორობა:** მკაცრი აქცენტი თანასწორ შესაძლებლობებზე და ინკლუზიურ გარემოზე ადრეული ასაკიდან.
- **სოციალური ემპათია:** მრავალფეროვანი სოციალური გამოცდილება მიზანმიმართულად ავითარებს ემპათიასა და პროსოციალურ ქცევებს.

იტალია

- **Reggio Emilia:** პროექტზე დაფუძნებული ჯგუფური მუშაობა, სადაც ბავშვი აქტიური მოქალაქეა.
- **კომუნიკაცია:** გარემო ხელს უწყობს მუდმივ დიალოგს, პასუხისმგებლობის აღებასა და ჯგუფურ სოლიდარობას.

კვლევის მიზანი და ამოცანა

წარმოდგენილი კვლევის მთავარი **მიზანია** სკოლამდელი განათლების როლის სიღრმისეული შესწავლა სოციალური კაპიტალის გენერირების პროცესში. კვლევა ისახავს გამოავლინოს, თუ როგორ უწყობს ხელს სკოლამდელი საგანმანათლებლო გარემო ბავშვებში სოციალური ურთიერთობების, თანამშრომლობის, ნდობისა და ჯგუფში ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბებას.

ნაშრომის კვლევის **ამოცანაა** გამოავლინოს ის პედაგოგიური და ორგანიზაციული პრაქტიკები, რომლებიც სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხელს უწყობს სოციალური კაპიტალის ფორმირებას, ასევე დაადგინოს არსებული გამოწვევები და ხელისშემშლელი ფაქტორები

საკვლევი საკითხები

- როგორ უწყობს ხელს სკოლამდელი საგანმანათლებლო გარემო ბავშვებში სოციალური კაპიტალის ძირითადი კომპონენტების ჩამოყალიბებას?

- □რა გამოწვევები და ხელისშემშლელი ფაქტორები იკვეთება სკოლამდელი განათლების სისტემაში სოციალური კაპიტალის ფორმირების პროცესში?

კვლევის დიზაინი

მიდგომა	მეთოდი	მონაწილეები	ხანგრძლივობა	ეთიკა
თვისობრივი სიღრმისეული ინტერპრეტაციის მიზნით, სოციალური კონტექსტის გასაგებად.	**ფოკუს ჯგუფები** 3 სკოლამდელი დაწესებულება *ნახევრადსტრუქტურირებული ფორმატი*	**18 პედაგოგი სულ** ✓ მიზნობრივი შერჩევა (3 ჯგუფი x 6 წევრი)	**60–90 წთ** ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა თითოეულ ჯგუფთან.	ნებაყოფლობითობა & ინფორმირებული თანხმობა კონფიდენციალობა & ანონიმურობა

1. **შერჩევა** — პროფესიული გამოცდილება
2. **მონაცემების შეგროვება** — ფოკუს ჯგუფები
3. **ტრანსკრიფცია** — ტექსტური დამუშავება
4. **ანალიზი** — თემატური მეთოდი

კვლევის ვალიდობა, სირთულეების და რისკები

- კვლევის შედეგები არ ისახავს მიზნად რაოდენობრივ განზოგადებას საქართველოს მასშტაბით, რადგან კვლევა ეფუძნება თვისებრივ მონაცემებს და შეზღუდულია მონაწილეთა რაოდენობით.

- სიღმისეული ინტერვიუებიდან მიღებული მონაცემები, თავისთავად, სუბიექტურია, რომელიც ასახავს ინტერვიუერების პირად შეფასებებსა და მოსაზრებებს;

მიუხედავად ამისა, მიღებული შედეგები იძლევა სკოლამდელი განათლების სოციალური ფუნქციის სიღრმისეულ გააზრებას და წარმოადგენს საფუძველს შემდგომი კვლევებისთვის.

ძირითადი თემები

ფოკუს ჯგუფების დისკუსიების ანალიზი განხორციელდა კოდირება/კატეგორიზაციის მეთოდით. მონაცემების დამუშავების პროცესში გამოიკვეთა კოდები, რომლებიც შემდეგ თემებში გაერთიანდა:

- ბავშვთა სოციალური ურთიერთობები და თანამშრომლობა;
- ნდობისა და ემოციურად უსაფრთხო გარემოს მნიშვნელობა;
- პედაგოგისა და ოჯახის თანამშრომლობა;

სოციალური ურთიერთობები

- ✓ ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შეფასებით, სკოლამდელი დაწესებულება არის **პირველი** ორგანიზებული სოციალური სივრცე, სადაც ბავშვები სისტემურად სწავლობენ თანატოლებთან ურთიერთობას.

- ✓ პედაგოგების თქმით, ბავშვების სოციალური ურთიერთობები თავდაპირველად ხასიათდება **ინდივიდუალური ინტერესებითა** და **ემოციური იმპულსებით,** თუმცა დროთა განმავლობაში ისინი იძენენ **თანამშრომლობისა** და **ჯგუფური** მოქმედების გამოცდილებას.

- ✓ ჯგუფური თამაშები, ერთობლივი შემოქმედებითი აქტივობები და ყოველდღიური რუტინა ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას ისწავლონ შეთანხმება, **პასუხისმგებლობის გაზიარება** და **კონფლიქტების მშვიდობიანი** მოგვარება.

- ✓ პედაგოგების დაკვირვებით, ბავშვები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი კოლექტიურ საქმიანობაში, უფრო ადვილად ამყარებენ ურთიერთობებს, ავლენენ ემპათიას და მზადყოფნას სხვების დახმარებისთვის. ეს პროცესი **ქმნის მყარ საფუძველს** სოციალური კავშირების ჩამოყალიბებისთვის, რაც მომავალში განსაზღვრავს ბავშვის სოციალურ ადაპტაციას.

ნდობა

- ✓ კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ **ნდობა** წარმოადგენს სკოლამდელი განათლების ერთ-ერთ ცენტრალურ კომპონენტს სოციალური კაპიტალის ფორმირების პროცესში.
- ✓ ბავშვთა შორის ნდობა ვერ ყალიბდება სპონტანურად და საჭიროებს **მიზანმიმართულ** საგანმანათლებლო გარემოს.
- ✓ უსაფრთხო გარემო იქმნება მაშინ, როდესაც ბავშვი გრძნობს, რომ მისი აზრი, ემოციები და ქცევა მიიღება და ფასდება.
- ✓ რესპონდენტებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს **პედაგოგის როლზე** ნდობის ჩამოყალიბებაში. მათი აზრით, პედაგოგის თანმიმდევრული ქცევა, სამართლიანი მიდგომა და ემპათიური დამოკიდებულება ქმნის იმ საფუძველს, რომელზეც ბავშვები აგებენ საკუთარ ურთიერთობებს თანატოლებთან.
- ✓ ძლიერი კომუნიკაცია მშობელსა და პედაგოგს შორის ქმნის ნდობის გარემოს, რაც ბავშვისთვის უსაფრთხო გარემოს ინიცირებს.

მრავალფეროვანი გარემო

- ✓ კვლევის მონაწილეები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ **მრავალფერპოვანი** გარემო მნიშვნელოვნად აძლიერებს ბავშვთა სოციალურ ურთიერთობებს.
- ✓ სხვადასხვა სოციალური, კულტურული და ინდივიდუალური მახასიათებლების მქონე ბავშვების ერთობლივი სწავლა ხელს უწყობს ურთიერთგაგებისა და ემპათიის განვითარებას.
- ✓ ასეთ გარემოში ბავშვები სწავლობენ **ტოლერანტობას, დახმარებასა და ერთმანეთის მხარდაჭერას,** რაც სოციალური კაპიტალის ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესს აძლიერებს.

დასკვნა

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური კაპიტალის ფორმირებაში ადრეულ ასაკში. ფოკუსჯგუფური დისკუსიების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ბაღი წარმოადგენს არა მხოლოდ ბავშვის კოგნიტური და აკადემიური განვითარების სივრცეს, არამედ სოციალური ურთიერთობების, ნდობისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბების ძირითად ინსტიტუციურ გარემოს. სკოლამდელი განათლება წარმოადგენს სოციალურ ინვესტიციას, რომლის გავლენა სცდება საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებს და ვრცელდება საზოგადოების სოციალურ სტრუქტურებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

- Bourdieu, P. (1984). Distinction: A social critique of the judgment of taste. Harvard University Press
- Coleman, J. S. (1988). Social capital in the creation of human capital. American Journal of Sociology, 94(Supplement), S95–S120
- ECD. (2012). Starting strong III: A quality toolbox for early childhood education and care. Paris: OECD
- Enham, S. A., Bassett, H. H., & Zinsser, K. (2012). Early childhood teachers as socializers of young children's emotional competence. Early Childhood Education Journal, 40(3), 137–143
- EAA Observatory. (n.d.). Reggio Emilia Approach. European Agency for Special Needs and Inclusive Education
- OECD. (2020). Early learning and child well-being in Estonia. Paris: OECD Publishing
- OECD Education Portal. (n.d.). Reggio Emilia Approach: Early childhood pedagogy and learning. Educational philosophy and pedagogy summary
- Putnam, R. D. (2000). Bowling alone: The collapse and revival of American community. Simon & Schuster



მადლობა
ყურადღებისთვის